



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 68

2019 წლის 19 სექტემბერი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მათზე საიჯარო ქირის საფასურის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.გ“ ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას პირდაპირი გზით მოახდინოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ობიექტების სარგებლობის უფლებით გადაცემა:

ა) სოფელ სარფის ცენტრში მდებარე (ს/კ 22.30.02.199.01/517) კომერციული ფართების სარგებლობის უფლებით გაცემა იგივე მოსარგებლებზე, რომლებიც სარგებლობდნენ აღნიშნულ ფართებს (მხოლოდ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი განცხადებების შემდგომ);

ბ) სოფელ ფერიაში არსებული ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 10 კვ.მ. ფართის გაცემა რუსუდან მახაჭაძეზე (ს/კ 22.24.02.352).

2. დადგინდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარფის ცენტრში მდებარე კომერციული ფართების წლიური საიჯარო ქირა 1 კვ.მ. ფართზე მოქცეული გამშვები პუნქტის მხარეს (წინა ფასადი) 130 (ასოცდაათი) ლარის ოდენობით, შენობის უკანა მხარეს (უკანა ფასადი) 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით. ხოლო სოფელ ფერიაში არსებული ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული კომერციული ფართის 1 კვ.მ. თვიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 1,5 (ერთი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე